

Ivane Mchedeladze

ივანე მჭედელაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**Unknown Translations of Georgian Poetry and Ukrainian Literary Discourse in Emigration:
Volodymyr Derzhavin's „Georgian Anthology“**

**ქართული პოეზიის უცნობი თარგმანები და უკრაინული ლიტერატურული პროცესი
ემიგრაციაში: ვოლოდიმირ დერჟავინის ქართული ანთოლოგია**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10856>

“Georgian Anthology” is a provisional designation that denotes the nineteenth- and twentieth-century Georgian poetry translated into Ukrainian by the well-known Ukrainian scholar and translator **Volodymyr Derzhavin**. These unknown materials were scattered across Ukrainian émigré periodicals. Volodymyr Derzhavin's translations of Georgian poetry were printed in the 1940s in London, in the Ukrainian émigré publication “**The Liberation Path**.”

These little-known translations form the primary sources for this research.

The research will devote special attention to the translator's role, to his cultural competence; to translational transformations and to the strategies for overcoming the barriers between the semiospheres of the “own” and the “foreign/other” culture, and so forth.

Keywords: Emigration, Ukrainian Literature, Georgian poetry, translation, Volodymyr Derzhavin

საკვანძო სიტყვები: უკრაინული ლიტერატურა, ქართული პოეზია, თარგმანი, ვოლოდიმირ დერჟავინი

განსხვავებულ კულტურებს შორის დიალოგისა და მათი ურთიერთქმედების ტრადიციული ფორმა, მხატვრული თარგმანი, ქართულ-უკრაინული ურთიერთობების მრავალფეროვან ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ამას პირველ რიგში განაპირობებს მთარგმნელობითი პროცესის მასშტაბები. აქედან გამომდინარე, მხატვრული თარგმანის შესახებ მეცნიერული რეფლექსია ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ნაციონალური ტრადიციის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა. თეორიული მოსაზრების თანახმად: „თარგმანი, განსხვავებული ნაციონალური კულტურების საბაზისო კულტურული მექანიზმების გაგების ხელშემწყობი ფაქტორია და ქმნის „უცხო/სხვის“ აღქმის წინაპირობებს... მრავალი საუკუნის განმავლობაში სწორედ თარგმანი განაპირობებდა ზოგადსაკაცობრიო კულტურის ერთიანი სივრცის შექმნას“ (Моденაძე, 2016).

ქართველმა უკრაინისტებმა და უკრაინელმა ქართველოლოგებმა შეისწავლეს ნათარგმნი ლიტერატურა ორმხრივი კომუნიკაციების პრიზმაში. ორივე კულტურის (ქართული ↔ უკრაინული) პერსპექტივიდან გამოავლინეს თარგმანის პროცესში ტრადიციების შექმნის, კონსტრუირებისა თუ დეკონსტრუქციის ისტორიული საფუძვლები. ამ ემპირიული მასალის შედარებით ანალიზში გამოიკვეთა თარგმანმცოდნეობითი კვლევებისთვის დამახასიათებელი არაერთი მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემა – მთარგმნელის მიერ კულტურათაშორისი განსხვავებების დაბალანსებისთვის შემუშავებული ხერხებისა და სტრატეგიების სპეციფიკა, ნათარგმნი ტექსტის ადაპტაცია უცხო კულტურის სემიოტიკურ სივრცეში და სხვ. თარგმანისთვის დამახასიათებელი სირთულეების დაძლევის მრავალწახნაგოვანი პარადიგმის შესწავლის შედეგად განზოგადდა თეორიული

დებულებები, რამაც თარგმანმცოდნეობა კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირა კომპარატივისტულ ლიტერატურულ კვლევებს. თუმცა ერთი მხრივ მთარგმნელობითი პროცესის მასშტაბურობისა და მეორე მხრივ, ისტორიულ-კულტურული კონტექსტების ცვალებადობის გამო, ბევრი ფაქტი, მნიშვნელოვანი პერსონა (ე.წ. *კულტურათაშორისი გაცვლის აგენტები*), მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა. ამის მიზეზად სხვადასხვა რამე შეიძლება დასახელდეს – იდეოლოგიური პროცესები, სამეცნიერო დისკურსში პრიორიტეტების ცვლილებები და სხვ.

ყოველ ეპოქაში კულტურული სიტუაციისა და ნაციონალური ლიტერატურული პროცესის გათვალისწინებით მუშავდება ლიტერატურულ ურთიერთობათა მოდელები, რის შედეგადაც ყალიბდება კომუნიკაციური პროცესების ტრადიცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-უკრაინულ კვლევებს ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი მიემდგნა, ემიგრაციაში განვითარებული ლიტერატურული კონტაქტების ვექტორი დასახელებული მიზეზის გამო ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. სტატიაში განსახილველი საკითხიც სწორედ ასეთია.

უკრაინული ინტელექტუალური ემიგრაცია ერთ-ერთი მასშტაბურია მეოცე საუკუნის ანტი-საბჭოთა ემიგრაციის ისტორიაში. საბჭოთა კანონიკურ მეცნიერებაში ეს საკითხი ფაქტობრივად ტაბუდადებული იყო. ემიგრაციის ლიტერატურული მემკვიდრეობის თანამედროვე მკვლევრის, ვადიმ ვასილენკოს, სამართლიანი მოსაზრებით:

„უკრაინული ემიგრანტული ლიტერატურა იდეურ-თემატური, საზოგადოებრივ პოლიტიკური თუ ემოციურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით, XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. მისი, როგორც ისტორიულ-კულტურული ფენომენის, შესწავლა დაემთხვა ჰუმანიტარული პარადიგმის დიდ ცვლილებებს, სწორედ ამ დროს გახდა ხელმისაწვდომი უცნობი საარქივო მასალები, სამეცნიერო წრეებში გამოჩნდა ტოტალიტარული ცენზურის მიერ ამოღებული სახელები და ტექსტები. მათი შესწავლა მიმდინარეობდა არასწორხაზოვნად და ფრაგმენტულად“ (Василенко, 2024, с. 10).

უკრაინელი მეცნიერის, ლიტერატურის თეორეტიკოსისა და მთარგმნელის, **ვოლოდიმირ დერჟავინის**, შესახებ მასალები¹ პოსტსაბჭოთა პერიოდის უკრაინაში საკმაოდ გვიან გამოჩნდა. დერჟავინის მემკვიდრეობა კარგადაა გაანალიზებული თანამედროვე უკრაინულ მეცნიერებაში, თუმცა როგორც ქართული ლიტერატურის მთარგმნელი, ჯერ კიდევ სათანადოდ არაა ცნობილი.

ვოლოდიმირ დერჟავინი – კულტუროლოგი, ლიტერატურათმცოდნე, კლასიკური ფილოლოგიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის სპეციალისტი. „*თანამედროვე უკრაინის ენციკლოპედიაში*“ (Астаф'єв, 2007, с. 427) აღნიშნულია, რომ დერჟავინი ფლობდა არაერთ ენას – იტალიური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, მათ შორის სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ იცოდა ქართულ ენაც. საკითხში გასარკვევად საინტერესოა საიდან უნდა სცოდნოდა უკრაინელ მეცნიერს ქართული, რადგან მას არ ჰქონია პირდაპირი კავშირი საქართველოსთან. დერჟავინმა უმაღლესი განათლების მიღება თავდაპირველად პეტერბურგის უნივერსიტეტში კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე დაიწყო, შემდეგ სწავლა გააგრძელა ხარკოვის უნივერსიტეტში. რუსეთის იმპერიაში არსებულ უნივერსიტეტებს შორის პეტერბურგის შემდეგ, ხარკოვის უნივერსიტეტის ორიენტალისტური მიმართულება ერთ-ერთი გამორჩეული იყო ქართველოლოგიური პრობლემებით დაინტერესების თვალსაზრისით, ასევე დიდ როლს თამაშობდა ქართველ სტუდენტთა ჯგუფებიც, მათი კულტურული ღონისძიებები. სავარაუდოდ, უკრაინელი მეცნიერი ქართული ენასა და კულტურას სწორედ ამ უნივერსიტეტებიდან უნდა გასცნობოდა.

ვოლოდიმირ დერჟავინი 1920-30-იან წლებში ხარკოვის უნივერსიტეტში მუშაობდა ლიტერატურის თეორიისა და თეორიული ლინგვისტიკის მიმართულებით, ასწავლიდა შორეული აღმო-

¹ ამ საკითხის ირგვლივ დამატებითი მასალების მოძიებაში დახმარებისა და კონსულტაციებისთვის სტატიის ავტორი მადლობას მოახსენებს ემიგრაციის ლიტერატურული მემკვიდრეობის თანამედროვე უკრაინელ მკვლევრებს – ვადიმ ვასილენკოსა და ლუდმილა ჰრიციკს.

სავლეთის ისტორიასაც. მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშისტების მიერ კიევის ოკუპაციის შემდეგ, შემოქმედებითი საქმიანობა გერმანიაში, ქ. მიუნხენში, განაგრძო.

უკრაინელი მეცნიერის პროფესიული ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მხატვრული თარგმანის პრობლემებით 1920-იან წლებიდან დაინტერესებულა. მას ეკუთვნის ნარკვევები პოეტური თარგმანის, მისი ანალიზის პრინციპების შესახებ. შთამბეჭდავად გამოიყურება მის მიერ სხვადასხვა ენიდან თარგმნილ ავტორთა ნუსხა – იგი მოიცავს მოიცავს როგორც ანტიკური პერიოდის მწერლობას, ასევე XIX-XX საუკუნეების ინგლისურ, ფრანგულ პოეზიას და სხვ., მათ შორის ქართულსაც.

კოლონიური და პოსტკოლონიური ისტორიის მქონე ქვეყნების მწერლობაში თარგმანი მხოლოდ კულტურული აქტი არაა, მას თან სდევს პოლიტიკური ფაქტორიც. ასეთ კონტექსტში ლიტერატურული კომუნიკაციების სფერო ჩაკეტილობის, კულტურული იზოლაციისა და პროვინციალიზმის დაძლევის ქმედით მექანიზმად ჩამოყალიბდა. თანამედროვე მკვლევრის, მაქსიმ სტრიხას, მოსაზრებით, თარგმანმა ანტიკოლონიური და ნაციონალური იდენტობის კონსტრუირების ფუნქციაც შეიძინა. მისი აზრით, თარგმანის საშუალებით შესაძლებელი გახდა უკრაინული კულტურის უცხო/სხვა კულტურებთან პირდაპირი კავშირის დამყარება. მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს იყო ევროპის ქვეყნებთან უკრაინელთა კულტურული და პოლიტიკური თანასწორობის იდეის რეალიზების ერთ-ერთი საშუალება. სტრიხა მეოცე საუკუნის თარგმანის ისტორიას ყოფს ორ დიდ – საბჭოთა და ანტისაბჭოთა მოდელებად. ანტისაბჭოთა თარგმანში დიასპორულ ვექტორს მოიაზრებს, (რომელშიც, სამწუხაროდ, არსადაა აღნიშნული ქართული მწერლობა). საბჭოთა პერიოდის უკრაინაში შესრულებულ თარგმანებს „კანონიკურ“ ტექსტებს უწოდებს (Стреха, 2020, сс. 5, 11). დიასპორული თარგმანები ამ იდეოლოგიური კანონიკურობისაგან თავისუფალი იყო, რაც ცხადად ჩანს თუნდაც ვოლოდიმირ დერჟავინის მიერ მასალის შერჩევის პრინციპშიც.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ემიგრანტული ლიტერატურის ისტორიაში უკრაინული სახელოვნებო მოძრაობას (МВП) არც თუ უმნიშვნელო ადგილი უკავია. ამ საკითხზე შექმნილი უახლესი კვლევებიდან ჩანს, რომ თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდის (1945-1948 წ.) მიუხედავად, ამ ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა უკრაინული ლიტერატურული პროცესის აღორძინებაში. მის გარშემო დაჯგუფდნენ საბჭოთა უკრაინიდან დევნილი ინტელექტუალები, სხვადასხვა თაობისა და განსხვავებული მსოფლხედველობის ადამიანები. ინტენსიურად მართავდნენ დისკუსიებს მწერლობისა და კულტურის განვითარების პერსპექტივების შესახებ. ცდილობდნენ უკრაინულ მწერლობასა და კულტურაში ევროპული ღირებულებებისა და მიმდინარეობების სინქრონიზაციას. ვ. ვასილენკოს შეფასებით: „მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა ეპოქამ განაახლა 1920-30-იანი წლების ტოტალიტარული ცენზურის მიერ შეწყვეტილი უკრაინული ლიტერატურის დაბრუნება „ფსიქოლოგიურ ევროპაში“¹, ანუ იმ სივრცეში, რომლის წიაღშიც ორგანულად ვითარდებოდა... კანონზომიერია, რომ უკრაინული ინტელექტუალების, მწერლების და მეცნიერების მიერ შექმნილი და დამკვიდრებული უკრაინის, მისი ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის ევროპული სახე და იდენტობა იყო გაბატონებული საბჭოთა-კოლონიური მოდელის ალტერნატივა“ (Василенко, 2024, с. 616). ემიგრანტთა წრეებში განსაკუთრებით აქტიური ყოფილა სხვადასხვა ენიდან თარგმნის პროცესი, ანთოლოგიების გამოცემა. ასე მაგალითად, 1950-იანი წლების „განმათავისუფლებელი გზის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა ვოლოდიმირ დერჟავინის მიერ უკრაინულად თარგმნილი პოლ ვალერის, რაინერ მარია რილკეს, არტურ რემბოს, გოეთეს პოეზია. ბეჭდავდა პუბლიკაციებს ანტიკური მწერლობის შესახებაც.

¹ 1920-იანი წლების უკრაინაში მიმდინარეობდა „ლიტერატურული დისკუსიის“ სახელით ცნობილი პროცესები, რომელსაც წარმართავდნენ ავანგარდისტული ხელოვნების წარმომადგენლები (მ. ხვილოვი, მ. ზეროვი და სხვანი). ისინი ამუშავებდნენ ნაციონალური კულტურის მომავალი განვითარების კონცეფციებს, მაგ.: „აზიური რენესანსის“ კონცეფცია, მსჯელობდნენ ასევე უკრაინული კულტურის გაევროპულობის („оң европеовання“) ტენდენციებზე, რაც რუსული კულტურისგან გამიჯვნასა და მის „ფსიქოლოგიური ევროპისკენ“ სწრაფვას გულისხმობდა (Гундирова, 2020). ცხადია ამ იდეებმა საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების ყველაზე აგრესიულ პერიოდში რეალიზება ვერ პოვა. დისკუსიის მონაწილეთა უმეტესობა სტალინური რეპრესიების მსხვერპლი გახდა, რომელსაც მეტაფორულად უწოდებს „დაცხრილებული აღორძინება“. უკრაინული ლიტერატურის „ფსიქოლოგიური ევროპისკენ“ შემობრუნება მხოლოდ ემიგრანტულმა ფრთამ მოახერხა.

„ქართული ანთოლოგია“ პირობითი დეფინიციაა, რომელიც ვოლოდიმირ დერჟავინის მიერ ემიგრაციაში უკრაინულად თარგმნილ XIX და XX საუკუნეების ქართულ პოეზიას ვუწოდებ. ეს თარგმანები იბეჭდებოდა 1950-იან წლებში ლონდონში, ემიგრანტების გამოცემაში, **„განმათავისუფლებელი გზა“**. კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ უკრაინული ემიგრაციის არქივები და გამოცემები საინტერესო მასალებს ინახავს, ესენია – ქართული ლიტერატურის თარგმანები, მის შესახებ კრიტიკულ წერილები და სხვ. ბოლო წლებში ამ საკითხებს ყურადღება მიაქცია უკრაინელმა ქართველოლოგმა, ლ. ჰრიციკმა. მის ნაშრომში გაკვირვებით იყო ნახსენები, ემიგრანტული ვექტორი სათანადოდ არ არის შესწავლილი საქართველოსა და უკრაინის ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში. პუბლიკაციაში აღნიშნული იყო, რომ მასალები გაბნეულია დიასპორულ გამოცემებში და კვლევას ელოდება (Грицик, 2013, с. 363-3274) უკრაინელმა მეცნიერმა ბევრი მნიშვნელოვანი და უცნობი ტექსტი მოიძია და ფრაგმენტულად გაანალიზა თავის მონოგრაფიაში (Грицик, 2010, с. 277-287), თუმცა მას თავისი სპეციფიკა აქვს, ამ ტექსტებს, როგორც ემპირიულ მასალას, მკვლევარი ძირითადად ლიტერატურული კომპარატივისტიკისა და ტრანსლატოლოგიის თეორიულ პრობლემებზე მსჯელობისას საილუსტრაციო წყაროებად იყენებს. ქართულ კულტურულ კონტექსტს ნაკლები ყურადღება ეთმობა. სწორედ მისი კონსულტაციებითა და დახმარებით დავიწყე უკრაინული ემიგრანტული ლიტერატურის შესწავლა. შედეგები ასახულია როგორც ინდივიდუალურ (Mtchedladze, 2018, pp. 227-233), ისე ერთობლივ პუბლიკაციებში (Грицик, Л. Мчедлаძე, I, 2025, с. 112-116).

„განმათავისუფლებელი გზა“ (უკრაინელი ნაციონალისტების (რევოლუციონერების) საზოგადოებრივი, ლიტერატურული და სამეცნიერო გამოცემა) დაარსდა 1948 წელს ლონდონში, რომელშიც პოლიტიკური შინაარსის ტექსტების გარდა იბეჭდებოდა სამეცნიერო ლიტერატურაც ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. მოგვიანებით დამატდა მხატვრული ლიტერატურა და ისეთი ტექსტებიც, რომელთა დაბეჭდვა საბჭოთა უკრაინაში აკრძალული იყო.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 1920-იანი წლებიდან ვოლოდიმირ დერჟავინი აქტიურად იყო ჩართული მთარგმნელობით პროცესებში. აქვეყნებდა კრიტიკულ რეცენზიებსა და გამოხმაურებებს უკრაინულ პერიოდიკაში („ჩერვონი შლიახ“, „კრიტიკა“ და სხვ.) ამ პუბლიკაციებში თარგმანის კრიტიკის გარდა თეორიული მოსაზრებებიც აქვს გამოთქმული. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი და ანგარიშგასაწევია მისი 1927 წელს გამოქვეყნებული სტატია – „პოეტური თარგმანის პრობლემა“. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ (Кальниченко, 2021, с. 30) სწორედ ამ პუბლიკაციით დაწყებულა უკრაინაში თეორიული დისკუსია პოეტური თარგმანის პრობლემათა შესახებ. დერჟავინი თარგმანის მხატვრულობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მისი შეხედულებით, მხატვრულობის არსი გულისხმობდა სალექსო საზომების გადატანას, ასევე ლექსის რიტმის, სინტაქსური ნიუანსების, ლექსიკური შესაბამისობებისა და ორიგინალის ჟღერადობის დაცვას თარგმანში. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, ვოლოდიმირ დერჟავინი თარგმანის მხატვრულობას **სტილიზაციას** უწოდებდა: „პირველ რიგში, მხატვრული თარგმანი (თარგმანი – სტილიზაცია) შესაძლებლობების ფარგლებში სიტყვასიტყვითი უნდა იყოს. ეს არ იმას კი არ ნიშნავს, რომ ორიგინალის ყველა სიტყვა გადაითარგმნება, არამედ იმას, რომ ნებისმიერი სიტყვის, წინადადების, ორიგინალის გრამატიკული თუ ფონეტიკური სტრუქტურები შეძლებისდაგვარად უნდა აისახოს, ან თავისი გამოხატულება პოვოს თარგმანის სტილში“ ციტ. (Кальниченко, 2021, с. 31). ამავე სტატიაში დერჟავინი ენის კომუნკაციური და მხატვრული თარგმანის ფუნქციების შესახებ გამოჰყოფდა სამ მნიშვნელოვან მახასიათებელს: 1) გააცნოს მკითხველს უცხოური ლიტერატურის შინაარსი; 2) თარგმანი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სალიტერატურო ენის განვითარებასა და გამდიდრებაში; 3) მხატვრული თარგმანი, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, – თარგმანი-სტილიზაცია გვხვდება შედარებით იშვიათად, იგი მოითხოვს როგორც მთარგმნელის, ასევე მკითხველისაგან მაღალ ენობრივ კულტურას, რადგან ტექსტის მხატვრულ ღირსებებს გადმოსცემს (Кальниченко, 2021, с. 31). ამდენად, დერჟავინის სახელს უკავშირდება სტილიზაცია და სტილიზებული თარგმანის კონცეფციები. იგი ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტი მხატვრული თარგმანი, მხოლოდ სტილიზებული შეიძლება იყოს, სტილის დასაცავად მთარგმნელს უფლება ჰქონდა გადაეღებინა ზოგადლი-

ტერატურული ფარგლები, სტილისტური ვარიაციების შესაქმნელად გამოეყენებინა თუნდაც არქაული ლექსიკა და ა.შ.

ვოლოდიმირ დერჟავინის მიერ თარგმნილი ქართული პოეზია სწორედ „განმათავისუფლებელი გზის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა. 1957 წლის მესამე ტომში არის რუბრიკა *თანამედროვე ქართველი პოეტები წმინდა თამარ მეფის შესახებ* და დაბეჭდილია – გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, სანდრო შანშიაშვილის „თამარ დიელოს“, ვაჟა-ფშაველას „დიდი თამარის“ თარგმანები; მასვე უთარგმნია ალექსანდრე აბაშელის „*მიწის სევდა*“, *კოტე მაცაშვილის „ამირანი“*, ილია ჭავჭავაძის „*ჩემო კარგო ქვეყანავ*“, აკაკი წერეთლის „*ამირანი*“ და „*ხანჯალი*“, რაფიელ ერისთავის „*ყანწი*“. წყაროები, რომელიც ქართულ მწერლობასა და მის წარმომადგენლებთან დერჟავინისა თუ უკრაინული ემიგრაციის უფრო ცხად კავშირებს გამოავლენდა, ამ ეტაპამდე უცნობია¹. ევროპაში გახიზნული ემიგრაციისთვის საბჭოთა კავშირში არსებული ლიტერატურულ-კულტურული პროცესები ცნობილი რომ ყოფილა დასტურდება თუნდაც იმავე „განმათავისუფლებელ გზაში“ დაბეჭდილი ქრონიკებით. ასე მაგალითად, 1954² წლის მეთორმეტე ნაწილში დაბეჭდილია ინფორმაცია, სადაც წერია, რომ გამოიცა კრებული „*საბჭოთა უკრაინას ქართველი მწერლები*“³ და დანახვით არის აღნიშნული, რომ მასში შესულ ტექსტთა უმეტესობა საბჭოთა აგიტაციის ნაწილია (Визвольний Шлях, 1954, с. 112).

დერჟავინის მიერ შემუშავებული სტილიზაციის კონცეფციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანია ალექსანდრე აბაშელის „*მიწის სევდა*“, რომელიც უკრაინულ ენაზე ექსპრესიულად ჟღერს «*Томління землі*», (Абашелі, 1956, с. 362) *Томління* – პოლისემიური კონცეპტია და ამ კონტექსტში სრულიად იზიარებს დედნის პათოსს. მაქსიმალური სიახლოვის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება ერთი სტროფის მოშველიება:

¹ კიდევ ერთხელ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის მუშაობის პროცესში გაწეული კონსულტაციებისთვის ვადიმ ვასილენკოს. მისი დახმარებით ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა ქ. მიუნხენში დაცული ვ. დერჟავინის პირადი არქივის ადფერილობა (*მიმოწერა და მასთან გაგზავნილი კორესპონდენციები, სამეცნიერო ნაშრომები და სხვ.*). აქ ქართული ნაკვალევი არ მოიპოვება, იძებნება მხოლოდ 1959 წელს ნ. ნაკაშიძის მიერ გაგზავნილი ბარათი, რომლის შინაარსიც უცნობია.

² 1954 წელს, პერეასლავის რადას (*უკრაინის რუსეთთან მიერთების 1654 წ.*) 300 წლისთავის აღნიშვნა საბჭოთა კულტურული და მეხსიერების პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მას მიემდვნა არაერთი ღონისძიება, გამოიცა დიდძალი ბეჭდური პროდუქცია საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც. თანამედროვე ისტორიკოსმა, სერჰი ეკელჩიკმა, ამ ღონისძიებას მეტაფორულად „*უკანასკნელი სტალინური დღესასწაული*“ უწოდა, რომლის ფარგლებშიც რეპრეზენტირდებოდა უკრაინელებისა და რუსების „ურღვევი მშური“ კავშირი: „სტალინური იდეოლოგიები ადგენდნენ მემკვიდრეობითობას საბჭოთა კავშირსა და რუსეთის იმპერიას შორის“ (Скельчик, 2008, сс. 256-257). ამავე პათოსს იზიარებს 1954-1955 წლებში საქართველოში შექმნილი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურაც. მათ შორისაა დასახელებული კრებულებიც და, ზოგადად, უკრაინის ისტორიის, საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობათა შესახებ დაბეჭდილი დიდი რაოდენობის ქართული სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურაც.

³ ირაკლი აბაშიძის, კარლო კალაძის, სიმონ ჩიქოვანისა და სერგი ჭილაიას რედაქტორობით შედგენილი ეს კრებული მხოლოდ ქართულენოვანია. ძნელი წარმოსადგენია, რომ მისი შინაარსი და საბჭოთა აგიტაციის დისკურსი უკრაინელებისთვის გასაგები ყოფილიყო. ინფორმაცია ქართულ ინტელიგენციასთან კავშირებით იქნებოდა ხელმისაწვდომი. სავარაუდოდ, სათარგმნი მასალაც ქართველებთან კონსულტაციებით უნდა ყოფილიყო შერჩეული. შესაძლებელია მათი დახმარებით/პჭკარელებითაც ითარგმნა, რადგან უკრაინულად შესრულებული ტექსტების ქართულთან მაქსიმალური სიახლოვიდან გამომდინარე, ძნელი დასაჯერებელია, რომ დერჟავინი ასე სრულყოფილად ფლობდა ქართულ ენასა და კულტურას.

ქართულ მწერლობასთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ პერსონად შეიძლება *ოლექსანდრ ლოტოცკის* მოაზრებაც. ცნობილია, რომ მან ჯერ კიდევ 1890-იან წლებში გამოაქვეყნა ქართულ ლიტერატურაზე მიმოხილვითი სტატია ქ. ლვოვში. ლ. ჰრიციკის აზრით, ლოტოცკი ქართული სამყაროთი დაინტერესებულა კიევის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს, რაშიც წვლილი მიუძღვით ქართველი ნაცნობებს (კორნელი კეკელიძეს და სხვ.) (Прицик, 2010, с. 196). ამ ვარაუდის დაშვების საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ „განმათავისუფლებელი გზის“ 1954 წლის მეათე წიგნში დაბეჭდილია დუტუ მეგრელის ლექსის ლოტოცკისეული თარგმანი. შესაძლებელია სწორედ ოლექსანდრ ლოტოცკი, როგორც ქართულ კულტურასთან შედარებით უფრო დაახლოებული, ყოფილიყო ერთ-ერთი ინიციატორიცა და ხელშემწყობიც თარგმნის პროცესში.

ვარსკვლავთ გვირგვინს მოვახვიე ღამით შობილ ფიქრის ძაფი,
Навколо зір вінця я стяг нить дум народжених вночі,
 სული ზეცად ავაფრინე, ვით ქვესკნელის ელვა სწრაფი,
Знис лет душі на небеса, мов з-під землі перуна чин,
 მზეს გაქცეულს დავეწიე და მოვსწყვიტე ოქროს სხივი,
Я сонце на бігу здогнав, взяв з нього промінь золотим,
 ისრად ვსტყორცნე სევდის აჩრდილს, შვეუწყვიტე სუნთქვა ცივი.
Стрелив ним у томління тінь, спинив їй зимний подих тим.
 (აბაშელი, 1968, გვ. 13)

სტილისტური თვალსაზრისით კარგი თარგმანია სანდრო შანშიაშვილის „თამარ დიელოს“ უკრაინული ვერსია «Тамара», (Шаншіашвілі, 1957 Річник IV (X), с. 341), რომელშიც მაქსიმალურადაა შენარჩუნებული დედნის როგორც სტილი, ისე ჟღერადობა, თუმცა ამის ხარჯზე ტექსტში დამატებებიცაა. დერჟავინი თავისი დროის სხვა თარგმანებთან შედარებით განსაკუთრებულად კარგად ახერხებს ლექსიკური შესაბამისობების დაძლევას:

ხარ დედოფალი, ყვავილებით გვირგვინოსანი,
 Володаркою ти й цвітовінцем відома нам,
 სინაზის ნიშნად ხელთ გიპყრია ნორჩი სოსანი.
 В руці тримаєш в ласки знак, ясмин незломаний,
 იგია შენი ძლევის სკიპტრა – ფერადოსანი,
 Що він твоєї моці берлом під шоломами.
 შოთამ მამხილა ვყოფილიყავ შენი მგოსანი.
 Твоїм призначив Шота, бути речником мені.
 (შანშიაშვილი, 1986, გვ. 124)

მთარგმნელი სქოლიოში საკმაოდ პროფესიულად მსჯელობს და უკრაინელი მკითხველისათვის განმარტებებს აკეთებს შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის შესახებ, ეს კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს, რომ ქართველი კონსულტანტი უნდა ჰყოლოდა. მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე ქართულიდან უკრაინულად ნათარგმნი ტექსტების რაოდენობრივი მაჩვენებელი უმეტეს შემთხვევაში არ ემთხვევა ხარისხობრივ მაჩვენებელს. მათი დიდი ნაწილი თარგმანის თარგმანებია და საკმაოდ დაშორებულია ორიგინალს. ხარისხიანი არც ისე ბევრია და ისიც *ქართველების (გ. ნა-მორაძე და მ. კინწურაშვილი)* ან ქართველი კონსულტანტების (*ს. იორდანიშვილი, ს. ჩიქოვანი*) დახმარებითაა შესრულებული. უკრაინაში ყოფნის პერიოდში (1920-30-იან წლებში), როდესაც მთარგმნელობითი პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა, ვოლოდიმირ დერჟავინის სახელი არსად ქართულ მწერლობასთან არ იკვეთება, ამდენად ცოტა საეჭვოა, რომ ასე საფუძვლიანად იგი ევროპაში დაუფლებოდა ქართულ ენასა და კულტურას, ან მხოლოდ რამდენიმე ტექსტის თარგმანით შემოფარგლულიყო მისი კავშირები. ცხადია, რომ ქართველოლოგია არ ყოფილა მისი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტერესების ძირითადი მიმართულება.

ყურადღებას იმსახურებს კოტე მაყაშვილის „ამირანის“ თარგმანი, რომელზეც მითითებულია, რომ ეს არის ქართული ეროვნულ-რევოლუციური პოეზიის ნიმუში, სქოლიოში კი განმარტება აქვს დართული, რომ ამირანი ქართული საგმირო მითოლოგიის ერთ-ერთი სახეა, ბერძნული პრომეთეს მსგავსი. მთარგმნელი აღნიშნავს, რომ ამ ლექსში კლდეზე მიჯაჭვული გოლიათის გათავისუფლება რუსეთისგან საქართველოს გამოხსნის სიმბოლოა (Макашвілі, 1956, с. 1196). ლექსში მაქსიმალურად შენარჩუნებულია დედნის ლექსიკურ-სემანტიკური ნიუანსები. რითმები და სტრიქონები ზოგიერთ შემთხვევაში დედანს ოდნავ დაშორებულია, არც მაქსიმალურად სიტყვასიტყვითი თარგმანი არაა, თუმცა ამით არაფერი დაზიანებულია. ჟღერადობა ეთანხმება სტილიზებულობის მთარგმნელისეულ კონცეფციას, ასე მაგალითად:

წინ, ნუ შედრკებით, არწივნო,
გმირთ ელის ხალხი ტანჯული,
ძველი კერპები დავამხოთ,
ებლა ვიწამოთ სხვა რჯული.
(მაყაშვილი, 1985, გვ. 16-17)

Вперед, без трепету, орли!
Героя жде люд змучений;
Понову дух наш учинив,
Завітам іншим вручений!

საგანგებოდ აღარ შევეხები იმ ტექსტებს, რომლებიც ლ. ჰრიციკს აქვს ემპირიულ/საილუსტრაციო მასალად მოშველიებული მხატვრულ თარგმანში კულტურული ურთიერთგაგების თეორიული პრობლემების ანალიზისას. იგი აღნიშნავს, რომ „დერჟავინის მიერ სათარგმნი მასალის შერჩევა არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. უკრაინელ ქართველოლოგს ძირითადად მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის (გრ. *ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი*) დერჟავინისეული თარგმანები აქვს გაანალიზებული და შენიშნავს, რომ „ქართული ლექსიკის ცალკეულ კომპონენტებს იგი აკომპენსირებს რომანტიზმის ეპოქის უკრაინული ენის კომპონენტებით“ (Грицик, 2010, с. 282). მართლაც შთამბეჭდავია უკრაინელი მთარგმნელის მიერ ქართული ლექსიკური ერთეულების კომპენსირების სტრატეგიები. ვოლოდიმირ დერჟავინის მიერ უკრაინულ ენაზე შესრულებული ქართული მწერლობის შედარებითი ანალიზი იძლევა განზოგადებული შეფასების გაკეთების შესაძლებლობას, რომ ეს ტექსტები ირეკლავს მთარგმნელის თეორიულ კონცეფციის, სტილიზაციის, პრინციპებს.

მეოცე საუკუნის ლიტერატურული პროცესი ორ ასპექტში, საბჭოთა უკრაინაში და მის ფარგლებს მიღმა, ემიგრაციაში (*ევროპა, აშშ, კანადა, ავსტრალია*) მოიაზრება. ეს უკანასკნელი ეტაპობრივად დაუბრუნდა მშობლიური კულტურული პროცესების ნაკადს. უკრაინული ემიგრაციის ლიტერატურული შემოქმედების შესწავლა ცხადყოფს, რომ „უცხო“ ლიტერატურებისადმი ინტერესი არ განელებულა ევროპაში საბჭოთა ტოტალიტარიზმს გამოქცეული მწერლებისა და მთარგმნელების შემოქმედებაში.

უკრაინელი ემიგრანტების შემოქმედებაში ქართული ნაკვალევის მიება ცოტა დაგვიანებულად დაიწყო. კვლევის პროცესში მასალების შესწავლის შედეგად ქართულ მწერლობასთან არაერთი საეტაპო მნიშვნელობის უკრაინელი მწერლისა თუ მთარგმნელის კავშირები გამოიკვეთა, მათი სახელები და შემოქმედებაც ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით უკრაინისტიკაში სრულიად უცნობი იყო, ქართულ კულტურასთან მათი კავშირები უცნობი იყო უკრაინული სამეცნიერო წრეებისთვისაც. ერთ-ერთი ასეთია სწორედ სტატიაში განხილული ვოლოდიმირ დერჟავინის მიერ თარგმნილი ქართული პოეზია. ამ ტექსტების ანალიზი ერთგვარი სიახლეა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის პლურალისტურ პარადიგმაში. კვლევაში წარმოდგენილი მოსაზრებები ემყარება ამ ეტაპისათვის ხელმისაწვდომ მასალებს. თუმცა ჯერ კიდევ რჩება პასუხგაუცემელი კითხვები, რისთვისაც აუცილებელია არქივებში მუშაობის შესაძლებლობა. ამდენად, წინამდებარე პუბლიკაცია კვლევის შუალედურ შედეგებად შეიძლება ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაშელი, ა. (1968). *რჩეული*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- მაყაშვილი, ვ. (1985). *ლექსები, წერილები*. თბილისი: „მერანი“.
- შანშიაშვილი, ს. (1986). *თხზულებები, ტომი I, ლექსები, პოემები*. თბილისი: „მერანი“.
- Mtchedeladze, I. (2018). Forms of Georgian Literature reception in XX century Ukrainian Literary Discourse in Emigration. *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies*. 28, 227-233.
- Абашелі, А. (1956 Річник III (IX) Березень). Томління землі. *Визвольний Шлях (Суспільно-політичний і науково-літературний місячник)*, Кн. 3/27 (101), 362.
- Астаф'єв, О. (2007). Державин Володимир Миколайович. *Енциклопедія сучасної України, том 7* (с. 427-428). Київ: ВАТ "Поліграфкнига".

- Василенко, В. (2024). *Слід Антея. Українська еміграційна література другої половини ХХ століття: ідеї, тексти, постаті*. Київ: Дух і Літера.
- Визвольний Шлях. (Суспільно-політичний і науково-літературний місячник) (1954, ч. 12).
- Грицик, Л. (2010). *Українська компаративістика: концептуальні проєкції*. Донецьк: Юго-восток.
- Грицик, Л. (2013). Эмиграционная модель украинско-грузинских литературных связей начала ХХ века. *VIII საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა“ მასალები, წიგნი II* (გვ. 363-374). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
- Грицик, Л. Мchedeladze, I. (2025). Сторінки української Руствеліани. Продовження В. Пачовський, Г.Гвазава. *Вісник Київського національного університету імені Тараса Шевченка. літературознавство.Мовознавство. Фольклористика. №1(37)*, 112-116.
- Гундорова, Т. (2020). „Азиатские конкистадоры“ Микола Хвилевого и пролетарский мессианизм. *Новое Литературное Обозрение №166 (6/2020)*, https://www.nlobooks.ru/magazines/novoe_literaturnoe_obozrenie/166_nlo_6_2020/article/22958/.
- Єкельчик, С. (2008). *Імперія пам'яті: російсько-українські стосунки в радянській історичній уяві*. Київ: „Критика“.
- Кальниченко, О. (2021). Дискусія про гомологічний та аналогічний переклад в Україні в кінці 1920-х років: Державин, Майфет, Зеров, Кулик, Фінкель. *Вісник київського національного університету імені Тараса Шевченка. Іноземна філологія 1 (53)*, 29-40.
- Макашвілі, К. (1956, Жовтень). Амірані (перекл. В.Державин). *Визвольний Шлях (Суспільно-політичний і науково-літературний місячник), Кн. 10/34 (108)*, с. 1196.
- Модебадзе, І. (2016). Герменевтическая функция перевода и взаимодействие культур. *Национальные культуры в межкультурной коммуникации*, 304-311.
- Стріха, М. (2020). *Український художній переклад і перекладачі: між літературою і націєтворенням* (с. 5-29; 251-347). Київ: ДУХ І ЛІТЕРА.
- Шаншіашвілі, С. (1957, Річник IV (X). Березень). Тамара (переклав В.Державин). *Визвольний Шлях (Суспільно-політичний і науково-літературний місячник), Кн. 3/39 (103)*, с. 362.

References:

- Abasheli, A. (1968). Rcheuli. [Selected works]. Tbilisi: "sabch'ota sakartvelo".
- Abasheli, A. (1956). Richnyk III (IKH Berezen'). Tomlinnya zemli. Vyzvol'nyy Shlyakh (Suspil'no-politychnyy i nauko-vo-literaturnyy misyachnyk). [Longing for the Land. Liberation Path (Social-Political and Scientific-Literary Monthly), Vol. 3/27 (101), 362.
- Astaf'iev, O. (2007). Derzhavyn Volodymyr Mykolayovych. Entsyklopediya suchasnoyi Ukrayiny. [Derzhavin Volodymyr Mykolayovych. Encyclopedia of Modern Ukraine]. Vol. 7 (427-428). Kyiv: OJSC "Poligraphknyga".
- Gundorova, T. (2020). «Aziatskiye konkistadory» Mikoly Khvilevogo i proletarskiy messianizm. [Mykola Khvilevov's "Asian Conquistadors" and Proletarian Messianism]. *Novoye Literaturnoye Obozreniye №166 (6/2020)*, https://www.nlobooks.ru/magazines/novoe_literaturnoe_obozrenie/166_nlo_6_2020/article/22958/.
- Gritsik, L. (2013). Emigratsionnaya model' ukrainско-gruzinskikh literaturnykh svyazey nachala KHKH veka. [Emigration model of Ukrainian-Georgian literary relations at the beginning of the twentieth century. Proceedings of International Symposium "Literature in Exile. Emigrants' Fiction (20th century experience)" Volume I], VIII saertashoriso simp'oziumis "lit'erat'ura devnilobashi. emigrant'ebis mts'erloba" masalebi, ts'igni II (363-374). Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba..]
- Grytskyk, L. Mchedeladze, I. (2025). Storinky ukrayins'koyi Rustveliany. [Pages of Ukrainian Rustveliana]. *Prodovzhennyya V. Pavovs'kyu, H.Hvazava. Visnyk Kyivivs'koho natsional'noho universytetu imeni Tarasa Shevchenka. literaturoznavstvo. Movoznavstvo.Fol'klorystyka. 1(37)*, 112-116].
- Grytskyk, L. (2010). Ukrayins'ka komparatyvistyka: kontseptual'ni proektsiyi. [Ukrainian Comparative Studies: Conceptual Projections]. Donetsk: Southeast. Donetsk: Yuho-vostok.
- Kalnychenko, O. (2021). Diskusiya pro homolohichnyy ta analogichnyy pereklyad v Ukrayini v kintsi 1920-kh rokiv:Derzhavyn, Mayfet, Zеров, Kulyk, Finkel'. [Discussion on homologous and analogous translation in Ukraine in the late 1920s: Derzhavyn, Mayfet, Zеров, Kulyk, Finkel]. *Visnyk kyyivivs'koho natsional'noho universyteu imeni Tarasa Shevchenka. Inozemna filolohiya 1 (53)*, 29-40].
- Liberation Path. [Social-Political and Scientific-Literary Monthly] (1954, p. 12). [Vyzvol'nyy Shlyakh. (Suspil'no-politychnyy i nauko-vo-literaturnyy misyachnyk) (1954, ch. 12)].

- Makashvili, K. (1956, October). Amirani (perekl. V.Derzhavyn). Vyzvol'nyy Shlyakh (Suspil'no-politychnyy i naukovoliteraturnyy misyachnyk). [Amirani (trans. V. Derzhavyn). The Path of Liberation (Social-Political and Scientific-Literary Monthly)]. Vol. 10/34 (108), 1196.
- Makashvili, K. (1985). Leksebi, ts'erilebi. [Poems, letters]. Tbilisi: "merani".
- Modebadze, I. (2016). Germenevticheskaya funktsiya perevoda i vzaymodeisvtiye kul'tur. Natsional'nyye kul'tury v mezhkul'turnoy kommunikatsii. [The Hermeneutic Function of Translation and the Interaction of Cultures. National Cultures in Intercultural Communication]. 304-311.
- Mtchedeladze, I. (2018). Forms of Georgian Literature reception in XX century Ukrainian Literary Discourse in Emigration. *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies*. #28, 227-233.
- Strikha, M. (2020). Ukrayins'kyy khudozhnyy pereklad i perekladachi: mizh literaturoyu i natsiyetvorenyam. [Ukrainian translation and translations: between literature and national works]. (5-29; 251-347). Kiev: Dukh I Litera.
- Shanshiashvili, S. (1957, Richnik IV (X). Berezen). Tamara (pereklav V.Derzhavyn). Vyzvol'nyy Shlyakh (Suspil'no-politychnyy i naukovoliteraturnyy misyachnyk). [Tamara (translated by V. Derzhavin). Volunteer Way (Suspilno-political and scientific-literary month)]. Kn. 3/39 (103), 362.
- Shanshiashvili, S. (1986). Tkhzulebebi. T'omi I. Leksebi. P'oemebi. [Essays, Poems, poems. Volume I]. Tbilisi: "merani".
- Vasylenko, V. (2024). Slid Anteya. Ukrayins'ka emihratsiyna literatura druhoyi polovyny XX stolittya: ideyi, teksty, postati. [Antey's Footsteps. Ukrainian Emigration Literature of the Second Half of the 20th Century: Ideas, Texts, Figures]. Kiyiv: Dukh i Litera].
- Yekelchik, S. (2008). Imperiya pam'yati: rosiys'ko-ukrayins'ki stosunky v radyans'kiy istorychniy uyavi. [Empire of Memory: Russian-Ukrainian Relations in the Soviet Historical Imagination]. Kyyiv: "Krytyka".